

ხსნარები-2

გვარი-----ჯგუფი-----თარიღი-----

1.100გ წყალში გახსნეს 20გ მარილი. გახსნილი ნივთიერების მასური წილი მიღებულ ხსნარში ტოლია:

- ა. 0.166
- ბ. 0.266
- გ. 0.356
- დ.0.455

2.შეურიეს მარილმჟავას 400გ 5%-იანი და 300გ 10 %-იანი ხსნარები. მიღებული ხსნარის პროცენტული კონცენტრაციაა:

- ა. 2.92 %
- ბ. 4.32 %
- გ. 6.11 %
- დ.7.14 %

3. 500გ 30%-იანი ხსნარიდან ააორთქლეს 40გ წყალი. მიღებული ხსნარის პროცენტული კონცენტრაციაა:

- ა. 32.60 %
- ბ. 44.30 %
- გ. 52.30 %
- დ.63.55 %

4. რამდენი გ მარილი და წყალი უნდა ავიღოთ 300გ აზოტმჟავას 20%-იანი ხსნარის დასამზადებლად

- ა. 40 და 260
- ბ. 60 და 240
- გ. 70 და 230
- დ.80 და 220

5. ერთი ლიტრი ხსნარი ($\rho=1.18\text{გ/სმ}^3$) შეიცავს 50გ გახსნილ ნივთიერებას. მიღებული ხსნარის პროცენტული კონცენტრაციაა:

- ა. 2.60 %
- ბ. 4.24 %
- გ. 5.30 %
- დ. 6.55 %

6. განსაზღვრეთ CaCl_2 -ის პროცენტული კონცენტრაცია ხსნარში, თუ 300 გ 15%-იანი CaCl_2 -ის ხსნარი განაზავეს 200 მლ წყლით.

- ა. 9 %.
- ბ. 19 %
- გ. 22 %
- დ.32 %

7. შეურიეს აზოტმჟავას 400გ 20%-იანი და 500გ 30%-იანი ხსნარები. განსაზღვრეთ მიღებული ხსნარის პროცენტული კონცენტრაცია.

- ა. 11.89 %
- ბ. 19.99 %
- გ. 25.55 %
- დ. 32.54 %

8. გამოთვალეთ გახსნილი ნივთიერების -ნატრიუმის ტუტის (NaOH) მასური წილი ხსნარში, რომელიც მიღებულია 62გ ნატრიუმის ოქსიდის (Na_2O) გახსნით 400 მლ წყალში.

- ა. 0.17
- ბ. 0.26
- გ. 0.35
- დ. 0.45

9. გამოთვალეთ გახსნილი ნივთიერების - ნატრიუმის ტუტის (NaOH) მასური წილი ხსნარში, რომელიც მიღებულია 40გ NaOH-ის გახსნით 400გ NaOH-ის 20%-იან ხსნარში.

- ა. 0.16
- ბ. 0.27
- გ. 0.35
- დ. 0.45

10. გამოთვალეთ გახსნილი ნივთიერების სპილენძის სულფატის (CuSO_4) მასური წილი ხსნარში, რომელიც მიღებულია 25გ შაბიამნის $\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$ გახსნით 600 გ წყალში.

- ა. 0.025
- ბ. 0.066
- გ. 0.156
- დ. 0.255

11. 22,4 ლიტრი HCl გახსნეს 500გ წყალში. მიღებული ხსნარის პროცენტული კონცენტრაციაა:

- ა. 6.80 %
- ბ. 7.99 %
- გ. 8.55 %
- დ. 9.54 %

12. 40 გ SO_3 გახსნეს 500გ 20%-იან გოგირდმჟავას (H_2SO_4) ხსნარში. მიღებული გოგირდმჟავას ხსნარის პროცენტული კონცენტრაციაა:

- ა. 16.80 %
- ბ. 27.59 %
- გ. 28.55 %
- დ. 25.92 %

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა	ფ	ა	ბ	ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ა	ბ

შენიშვნა 2020